ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2936398

ნომერი: AR1453879

თარიღი : 03.11.2016

გაცემის თარიღი : 14.11.2016

გაცნობის თარიღი : 14.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 03

ნოემბრის განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანებით დაკმაყოფილდა №AR1442316 ელექტრონული განცხადი და შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გლდანის III მ/რ-ნში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.11.12.005.180) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ" ბლოკის) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 02 ნოემბრიდან 2019 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით. თუმცა, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, ნაცვლად 2016 წლის 02 ნოემბრიდან 2019 წლის 02 ნოემბრისა მითითებულია „2016 წლის 05 მაისიდან 2021 წლის 05 ივნისის ჩათვლით".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანებაში და ბრძანების მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 02 ნოემბრიდან 2019 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით." სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 ნოემბრის №2920083 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.